

სააქციო საზოგადოება „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური & მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სს “გეზ მოტორსი”

კონსოლიდირებული ფინანსური & მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	I-IV
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
1 ჯგუფი და მისი საქმიანობა	6
2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3 ძირითადი საშუალებები.....	15
4 არამატერიალური აქტივები	16
5 გუდვილი	16
6 ფული და ფულის ეკვივალენტები	17
7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	17
8 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	17
9 მიღებული სესხები	17
10 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	18
11 საგადასახადო აქტივი	18
12 ამონაგები	18
13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	18
14 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან.....	18
15 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	19
16 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ.....	19
17 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „გეზ მოტორსის“ აქციონერებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „გეზ მოტორსისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენი:

- და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას,

გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

25 სექტემბერი, 2025

შპს „ინოქსი“-ს სახელით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674; სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-481994)

გარიგების პარტნიორი და დირექტორი: ირაკლი ჭილაძე (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-509177)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „გეზ მოტორსის“ აქციონერებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „გეზ მოტორსისა“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას,

გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

25 სექტემბერი, 2025

შპს „ინოქს“-ს სახელით (საიდენტიფიკაციო კოდი: 404539674; სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-F-481994)



გარიგების პარტნიორი და დირექტორი: ირაკლი ჭილაძე (სარეგისტრაციო ნომერი: SARAS-A-509177)

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	16.887.615	10.971.654
არამატერიალური აქტივები	4	8.977	5.724
გუდვილი	5	1.614.362	1.614.362
სულ გრძელვადიანი აქტივები		18.510.954	12.591.740
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1.105.867	4.432.018
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2.040.929	5.766.304
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	10.384.738	14.390.343
საგადასახადო აქტივები	11	996.160	1.139.637
სულ მიმდინარე აქტივები		14.527.694	25.728.302
სულ აქტივები		33.038.648	38.320.042
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		952.861	952.861
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		11.895.047	7.842.961
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(865.165)	(865.165)
არამაკონტროლებელი წილი		169.942	961.106
სულ კაპიტალი		12.152.685	8.891.763
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	6.358.684	616.101
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6.358.684	616.101
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	9.225.811	20.149.895
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	5.195.582	8.510.081
გადასახდელი პროცენტი	9	105.885	152.203
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14.527.279	28.812.178
სულ ვალდებულებები		20.885.963	29.428.279
სულ კაპიტალი & ვალდებულებები		33.038.648	38.320.042

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი

ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	16.887.615	10.971.654
არამატერიალური აქტივები	4	8.977	5.724
გუდვილი	5	1.614.362	1.614.362
სულ გრძელვადიანი აქტივები		18.510.954	12.591.740
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1.105.867	4.432.018
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2.040.929	5.766.304
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	10.384.738	14.390.343
საგადასახადო აქტივები	11	996.160	1.139.637
სულ მიმდინარე აქტივები		14.527.694	25.728.302
სულ აქტივები		33.038.648	38.320.042
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		952.861	952.861
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		11.895.047	7.842.961
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(865.165)	(865.165)
არამაკონტროლებელი წილი		169.942	961.106
სულ კაპიტალი		12.152.685	8.891.763
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	6.358.684	616.101
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6.358.684	616.101
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	9.225.811	20.149.895
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	5.195.582	8.510.081
გადასახდელი პროცენტი	9	105.885	152.203
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14.527.279	28.812.178
სულ ვალდებულებები		20.885.963	29.428.279
სულ კაპიტალი & ვალდებულებები		33.038.648	38.320.042

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი



ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	34.138.133	14.931.725
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(22.658.750)	(8.853.140)
საერთო მოგება		11.479.383	6.078.585
დასაქმებულთა ანაზღაურება		(3.490.179)	(3.172.759)
საპროცენტო ხარჯი		(1.544.613)	(894.936)
იჯარის ხარჯი		(290.107)	(293.658)
მიწოდების ხარჯები		(158.054)	(98.839)
ცვეთა და ამორტიზაცია	3 / 4	(112.869)	(115.815)
საპროცენტო შემოსავალი		14.488	36.172
გუდვილის გაუფასურების / ამორტიზაციის ხარჯი		-	(2.772.317)
სხვა შემოსავლები		700.608	1.973.915
სხვა ხარჯები		(563.432)	(327.859)
საოპერაციო მოგება		6.035.225	412.489
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14	(684.782)	(91.491)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		5.350.443	320.998
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5.350.443	320.998
არამაკონტროლებელი წილი		1.298.357	(309.437)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განაწილება მშობელი კომპანიის მფლობელებზე		4.052.086	630.435

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი

ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	34.138.133	14.931.725
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(22.658.750)	(8.853.140)
საერთო მოგება		11.479.383	6.078.585
დასაქმებულთა ანაზღაურება		(3.490.179)	(3.172.759)
საპროცენტო ხარჯი		(1.544.613)	(894.936)
იჯარის ხარჯი		(290.107)	(293.658)
მიწოდების ხარჯები		(158.054)	(98.839)
ცვეთა და ამორტიზაცია	3 / 4	(112.869)	(115.815)
საპროცენტო შემოსავალი		14.488	36.172
გუდვილის გაუფასურების / ამორტიზაციის ხარჯი		-	(2.772.317)
სხვა შემოსავლები		700.608	1.973.915
სხვა ხარჯები		(563.432)	(327.859)
საოპერაციო მოგება		6.035.225	412.489
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14	(684.782)	(91.491)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		5.350.443	320.998
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5.350.443	320.998
არამაკონტროლებელი წილი		1.298.357	(309.437)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განაწილება		4.052.086	630.435
მშობელი კომპანიის მფლობელებზე			

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი



ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	87.696	7.212.526	1.270.543	8.570.765
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	630.435	(309.437)	320.998
აქციების გამოსყიდვა	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	87.696	7.842.961	961.106	8.891.763
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4.052.086	1.298.357	5.350.443
აქციების გამოსყიდვა	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	(2.089.521)	(2.089.521)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	87.696	11.895.047	169.942	12.152.685

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი

ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლ ებელი წილი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	87.696	7.212.526	1.270.543	8.570.765
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	630.435	(309.437)	320.998
აქციების გამოსყიდვა	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	87.696	7.842.961	961.106	8.891.763
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	4.052.086	1.298.357	5.350.443
აქციების გამოსყიდვა	-	-	-	-
არამაკონტროლებელი წილის ზრდა	-	-	(2.089.521)	(2.089.521)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	87.696	11.895.047	169.942	12.152.685

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი



ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება / (ზარალი)	5.350.443	320.998
კორექტირებები:	2.287.114	2.052.104
ცვეთა და ამორტიზაცია	124.389	115.814
ძირითადი საშუალების ჩამოწერა / რეალიზაციის მიღებული (ნამეტი) / ზარალი	(52.182)	(1.786.282)
გუდვილის გაუფასურების / ამორტიზაციის ხარჯი	-	2.772.317
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	684.782	91.491
საპროცენტო შემოსავალი	(14.488)	(36.172)
საპროცენტო ხარჯი	1.544.613	894.936
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:	4.708.371	(8.527.452)
ცვლილება დარიცხულ მოთხოვნებში	7.572	(7.572)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	3.970.211	(3.611.357)
ცვლილება მიმდინარე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	4.005.605	(5.686.774)
ცვლილება გადასახადებში	143.477	23.118
ცვლილება გადახდილ ავანსებში	94.003	(349.460)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(3.512.497)	1.104.593
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	12.345.928	(6.154.350)
პროცენტის გადახდა	(1.599.858)	(988.059)
პროცენტის მიღება	47.254	211.417
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10.793.324	(6.930.992)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(9.559.189)	(2.196.045)
ძირითადი საშუალების გასვლა	3.567.767	2.798.702
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5.991.422)	602.657
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
არამაკონტროლებელი წილის მოძრაობა	(2.089.521)	-
სესხის გაცემა	(8.749.874)	(2.274.158)
გაცემული სესხის მიღება	3.388.244	2.267.809
სესხის მიღება	46.549.993	37.447.493
სესხის გადახდა	(47.119.840)	(27.408.586)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(8.020.998)	10.032.558
ნაშთი წლის დასაწყისში	4.432.018	817.811
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(107.055)	(90.016)
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში	(3.219.096)	3.704.223
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1.105.867	4.432.018

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი

ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება / (ზარალი)	5.350.443	320.998
კორექტირებები:	2.287.114	2.052.104
ცვეთა და ამორტიზაცია	124.389	115.814
ძირითადი საშუალების ჩამოწერა / რეალიზაციის მიღებული (ნამეტი) / ზარალი	(52.182)	(1.786.282)
გუდვილის გაუფასურების / ამორტიზაციის ხარჯი	-	2.772.317
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	684.782	91.491
საპროცენტო შემოსავალი	(14.488)	(36.172)
საპროცენტო ხარჯი	1.544.613	894.936
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:	4.708.371	(8.527.452)
ცვლილება დარიცხულ მოთხოვნებში	7.572	(7.572)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	3.970.211	(3.611.357)
ცვლილება მიმდინარე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	4.005.605	(5.686.774)
ცვლილება გადასახადებში	143.477	23.118
ცვლილება გადახდილ ავანსებში	94.003	(349.460)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(3.512.497)	1.104.593
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	12.345.928	(6.154.350)
პროცენტის გადახდა	(1.599.858)	(988.059)
პროცენტის მიღება	47.254	211.417
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10.793.324	(6.930.992)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(9.559.189)	(2.196.045)
ძირითადი საშუალების გასვლა	3.567.767	2.798.702
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5.991.422)	602.657
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
არამაკონტროლებელი წილის მოძრაობა	(2.089.521)	-
სესხის გაცემა	(8.749.874)	(2.274.158)
გაცემული სესხის მიღება	3.388.244	2.267.809
სესხის მიღება	46.549.993	37.447.493
სესხის გადახდა	(47.119.840)	(27.408.586)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(8.020.998)	10.032.558
ნაშთი წლის დასაწყისში	4.432.018	817.811
წმინდა მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	(107.055)	(90.016)
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში	(3.219.096)	3.704.223
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1.105.867	4.432.018

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი



ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

სს „გეზ მოტორსი“ (206264512) (შემდგომში „კომპანია“) არის 2006 წლის 16 ნოემბერს საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკ., №33ა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავებისა და საპოხ-საზეთი ლუბრიკანტის მიწოდება და თანმდევი მომსახურების გაწევა.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქცონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

მარინე დალოევი - 10%

ზურაბ მელქაძე - 37%

ედუარდ მიქაძე - 33%

ნანა ნოზაძე - 20%

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 38 (2023 - 32).

„კომპანია“ 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი საწარმოების (ერთად „ჯგუფი“) მშობელი კომპანიაა:

შვილობილი კომპანია	საქმიანობა	წილი	
		31-12-24	31-12-23
შპს პიტ-სტოპ	მშენებლობა	100%	100%
შპს მეგა ავტო	არააქტიური	100%	100%
შპს სვანეთ ოცდამეერთე	არააქტიური	50%	50%

შპს პიტ-სტოპ შეძენილია და კონტროლი მოპოვებულია მშობელი კომპანიის მიერ 2008 წლის 2 მაისს 147.000 ლარად.

ჯგუფი არ მოელის შპს მეგა ავტოსაგან და შპს სვანეთი ოცდამეერთესაგან მომავალი ფულადი ნაკადების ან/და სხვა დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, შესაბამისად, ინვესტიციები აღნიშნულ საწარმოებში გაუფასურებულია სრულად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად 70.000 და 123.746 ლარის ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილ კომპანიას (შპს პიტ-სტოპ) აქვს განხორციელებული შემდეგი ინვესტიციები:

შპს პრიმა სერვისი - 400002484 - 100% წილი - 0 ლარი (2023: 0 ლარი)

შპს სკაიჰაუსი - 405357607 - 60% წილი - 0 ლარი (2023: 2,204,039 ლარი) (საქმიანობა: მშენებლობა)

შპს სქაი ჰაუსი ვარკეთილი (ყოფილი შპს "აუტო-დოკა") - 206027262 - 100% წილი - 4,200,471 ლარი (2023: 4,200,470 ლარი) (საქმიანობა: მშენებლობა)

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის (შპს პიტ-სტოპი და მისი შვილობილები) დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 10 (2023 - 27).

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი

საწარმოთა გაერთიანება

საწარმოთა გაერთიანება ნიშნავს სხვადასხვა განცალკევებული საწარმოების ან სამეურნეო ერთეულების გაერთიანებას ერთ ანგარიშვალდებულ საწარმოდ. საწარმოთა გაერთიანების შედეგი იმაში გამოიხატება, რომ ერთი საწარმო (მყიდველი) მოიპოვებს კონტროლს ერთ ან რამდენიმე სამეურნეო ერთეულზე. შეძენის თარიღი არის ის თარიღი, როდესაც მყიდველი საწარმო მოიპოვებს კონტროლს შეძენილ საწარმოზე.

საწარმომ ნებისმიერი საწარმოთა გაერთიანება უნდა ასახოს შეძენის მეთოდით.

მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანების ღირებულება უნდა განსაზღვროს, როგორც შემდეგი სიდიდეების აგრეგირებული მნიშვნელობა:

- შეძენილ საწარმოზე კონტროლის უფლების მოსაპოვებლად მყიდველი საწარმოს მიერ გადაცემული აქტივების, მყიდველი საწარმოს მიერ გაერთიანების შედეგად აღებული, ან გაერთიანებისას წარმოშობილი ვალდებულებებისა და მყიდველი საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეძენის თარიღისთვის; და

- მოცემულ საწარმოთა გაერთიანებასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი.

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)
შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებად ერთეულებს. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები ჩართულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, კონტროლის მოპოვების მომენტიდან. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით ანალოგიური ოპერაციებისა და მსგავს ვითარებაში მომხდარი სხვა მოვლენების მიმართ.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

„ჯგუფის“ ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში მოიცავს წილს მეკავშირე კომპანიებსა ან ერთობლივ საწარმოებში. მეკავშირე კომპანია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლებზეც „ჯგუფის“ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს, მაგრამ არ აკონტროლებს და არც ერთობლივად აკონტროლებს მას ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკების შესაბამისად. მნიშვნელოვანი გავლენა გულისხმობს „ჯგუფის“ მიერ სხვა საწარმოში 20%-დან 50%-მდე ხმის უფლების ფლობას. ერთობლივი საწარმო წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელსაც „ჯგუფი“ ერთობლივად აკონტროლებს და მას აქვს უფლება მის წმინდა აქტივებზე და არა მის აქტივებსა და ვალდებულებებზე. წილი მეკავშირე კომპანიასა და ერთობლივ საწარმოებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით და თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. ინვესტიციის თვითღირებულება მოიცავს საოპერაციო ხარჯებს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს მეკავშირე კომპანიაში განხორციელებულ ინვესტიციებში კომპანიის მოგებ-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის წილს, მათ „ჯგუფის“ სააღრიცხვო პოლიტიკებთან მორგების შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც იწყება მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი ამ უკანასკნელების დასრულებამდე.

კონსოლიდირებისას გამორიცხული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას საწარმოთა ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საწარმომ უნდა:

- გააერთიანოს მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- უგულებელყოს თითოეულ შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარი კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც მშობელ საწარმოს ეკუთვნის;
- შეაფასოს და ასახოს არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა წილისგან განცალკევებით;
- შეაფასოს და ასახოს არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებში, მშობელი საწარმოს აქციონერთა წილისაგან განცალკევებით.

შიდაჯგუფური ნაშთები და ოპერაციები

შიდაჯგუფური ნაშთები და შიდაჯგუფური ოპერაციები, მათ შორის, შემოსავლები, ხარჯები და დივიდენდები, მთლიანად გამოირიცხება. ასევე გამოირიცხება შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება და ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორიცაა მარაგი და ძირითადი საშუალებები. შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც აღიარებას საჭიროებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში

განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღირიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
მანქანა-დანადგარები	2-15
ოფისის აღჭურვილობა	2-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-6
ოფისის აღჭურვილობა	3-15
შენობები	10-30
ამორტიზებადი აქტივები რომლებიც სხვა ჯგუფში არ არის შეტანილი	2-15

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების 10 წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

გუდვილი

მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღით:

- უნდა აღიაროს საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი გუდვილი აქტივად; და

- თავდაპირველად გუდვილი შეაფასოს თვითღირებულებით, რაც იქნება საწარმოთა გაერთიანების ღირებულების მეტობის თანხა მყიდველი საწარმოს წილზე იმ იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, რომლებიც აკმაყოფილებს აღიარების შემდეგ კრიტერიუმებს:

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

- აქტივი, არამატერიალური აქტივის გარდა, აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მყიდველ საწარმოში და შესაძლებელია მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- ვალდებულება, პირობითი ვალდებულების გარდა, აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო გახდება საწარმოდან რესურსების გასვლა და შესაძლებელია მათი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება;
- არამატერიალური აქტივი აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე; და
- პირობითი ვალდებულება აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

გარდა შემდეგი აქტივებისა და ვალდებულებებისა:

- მოგების გადასახადი - შესაბამისად უნდა აღიაროს და შეაფასოს საწარმოთა გაერთიანების დროს შეძენილი აქტივებისა და აღებული ვალდებულებებისაგან წარმოშობილი გადავადებული საგადასახადო აქტივი, ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულება; და
- დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები - შესაბამისად უნდა აღიაროს და შეაფასოს ვალდებულება (ან აქტივი, თუ ასეთი არსებობს), რომელიც დაკავშირებულია შეძენილი საწარმოს დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების შეთანხმებებთან.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ, მყიდველმა საწარმომ საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი გუდვილი უნდა ასახოს თვითღირებულებიდან დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. თუ შეუძლებელია გუდვილის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, იგი უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფი ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც ჯგუფი მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც ჯგუფი მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

სს „გეზ მატორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. ჯგუფი აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო დაბეგვრის სისტემის თავისებურების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც ჯგუფში დამფუძნებლის შენატანი.

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: ჯგუფში მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და ჯგუფს დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

სს „გეზ მატორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ჯგუფის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავ რებელი მშენებლო ბა	შენობა	მანქანა- დანადგარე ბი	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებებ ი	ამორტიზებად ი აქტივები, რომლებიც შეტანილი არ არის სხვა ჯგუფში	სულ
31 დეკემბერი 2022	7.433.976	1.106.555	754.761	438.100	207.323	69.322	125.673	7.429	10.143.139
შეძენა	-	1.986.463	2.062	113.254	13.934	29.660	40.469	10.956	2.196.798
ტრანსფერი	(140.524)	(723.017)	904.270	(39.788)	-	-	-	(941)	-
გასვლა	-	-	(995.271)	(25.916)	(7.537)	-	-	(17.444)	(1.046.168)
31 დეკემბერი 2023	7.293.452	2.370.001	665.822	485.650	213.720	98.982	166.142	-	11.293.769
შეძენა	-	5.641.994	3.313.089	115.572	172.726	6.281	260.999	43.668	9.554.329
გასვლა	-	-	(3.313.089)	(251.188)	(300)	-	(31.913)	-	(3.596.490)
31 დეკემბერი 2024	7.293.452	8.011.995	665.822	350.034	386.146	105.263	395.228	43.668	17.251.608
31 დეკემბერი 2022	-	-	(32.500)	(62.652)	(93.551)	(8.946)	(37.432)	(5.846)	(240.927)
ცვეთის ხარჯი	-	-	(20.464)	(42.627)	(26.524)	(10.539)	(13.822)	(212)	(114.188)
გასვლა	-	-	26.524	166	252	-	-	6.058	33.000
31 დეკემბერი 2023	-	-	(26.440)	(105.113)	(119.823)	(19.485)	(51.254)	-	(322.115)
ცვეთის ხარჯი	-	-	(6.611)	(51.815)	(25.676)	(13.426)	(24.641)	(613)	(122.782)
გასვლა	-	-	-	72.036	95	-	8.773	-	80.904
31 დეკემბერი 2024	-	-	(33.051)	(84.892)	(145.404)	(32.911)	(67.122)	(613)	(363.993)
31 დეკემბერი 2022	7.433.976	1.106.555	722.260	375.448	113.772	60.376	88.241	1.583	9.902.212
31 დეკემბერი 2023	7.293.452	2.370.001	639.382	380.537	93.897	79.497	114.888	-	10.971.654
31 დეკემბერი 2024	7.293.452	8.011.995	632.771	265.142	240.742	72.352	328.106	43.055	16.887.615

სს „გეზ მატორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია - ორის მენეჯერი	სულ
ისტორიული ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29.055	29.055
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29.055	29.055
შეძენა	4.860	4.860
გასვლა	-	-
ისტორიული ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33.915	33.915
დაგროვილი ამორტიზაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21.705	21.705
ამორტიზაციის ხარჯის წლის განმავლობაში	1.626	1.626
გასვლაზე ელიმინირებული ამორტიზაცია	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	23.331	23.331
ამორტიზაციის ხარჯის წლის განმავლობაში	1.607	1.607
გასვლაზე ელიმინირებული ამორტიზაცია	-	-
დაგროვილი ამორტიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24.938	24.938
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7.350	7.350
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5.724	5.724
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8.977	8.977

5 გუდვილი

	შპს პრიმა სერვისი - 400002484	შპს სქაი ჰაუსი ვარკეთილი - 206027262	სულ
წმინდა აქტივები შეძენის მომენტისათვის	197,085	2,406,733	2,603,818
ინვესტიციის მოცულობა	2,790,028	4,200,471	6,990,499
გუდვილი	2,592,943	1,793,738	4,386,681
გუდვილის გაუფასურების / ამორტიზაციის ხარჯი	(2,592,943)	(179,374)	(2,772,317)
გუდვილი, წმინდა	-	1,614,362	1,614,362

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-12-24	31-12-23
ნაღდი ფული სალაროში	235.735	73.174
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	501.714	406.698
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	368.418	3.952.146
სულ	1.105.867	4.432.018

7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23
მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან	851.566	1.140.902
უიმედო მოთხოვნების ანარიცხი	(3.906)	(3.906)
გაცემული სესხები	352.019	159.220
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2.574	4.463
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	818,016	3.589.148
სულ	2,040,929	4.889.827

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება 3.906 ლარს (2024: 3.906 ლარს), რომელზეც შექმნილია საეჭვო მოთხოვნების რეზერვი 100%-ით. სხვა სავაჭრო და მოკლევადიან მოთხოვნებთან დაკავშირებით ჯგუფმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია რეზერვის შექმნა, ვინაიდან ჯგუფს არ აქვს მსგავსი რისკების მახასიათებლები. მოთხოვნები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დროულად ან/და სრულად არის დაფარული, ხოლო მოთხოვნები რომლებიც უმნიშვნელო ვადაგადაცილებას ექვემდებარება არსებით გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

8 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-12-24	31-12-23
საქონელი	3.722.350	2.361.560
ნედლეული და მასალები	171.872	378.436
დაუმთავრებელი მშენებლობა	6.488.718	11.649.874
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1.798	473
სულ	10.384.738	14.390.343

9 მიღებული სესხები

	31-12-24	31-12-23
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	495.794	236.219
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე ნაწილი	3.971.315	616.101
მოკლევადიანი სესხები	11.117.386	19.913.676
მოკლევადიან სესხებზე გადასახდელი პროცენტები	105.885	152.202
სულ	15.690.381	20.918.198

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

10 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	208.310	235.479
საექვო ვალების კორექტირება	161.772	161.772
მიღებული ავანსები	4.797.548	8.051.845
გადასახდელი ხელფასები	26.891	51.775
სოციალური გადასახადი	1.061	9.210
სულ	5.195.582	8.510.081

11 საგადასახადო აქტივი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის წმინდა საგადასახადო პოზიცია შეადგენს 996.160 ლარს (2023: 1.139.637 ლარს).

12 ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვიდან	14.649.463	11.190.144
მომსახურების გაწვიდან	109.977	69.179
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	19.378.693	3.672.402
სულ	34.138.133	14.931.725

13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
საწყისი მარაგები	(14.390.343)	(8.703.568)
მარაგების შესყიდვა	(18.772.895)	(15.679.490)
გადამუშავების დანახარჯები	119.750	1.139.575
საბოლოო მარაგები	10.384.738	14.390.343
სულ	(22.658.750)	(8.853.140)

14 წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
დადებითი საკურსო სხვაობა	4.082.535	3.037.522
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(4.767.317)	(3.129.013)
სულ	(684.782)	(91.491)

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გარმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

15 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	ნაშთი		შინაარსი
		12/31/2024	12/31/2023	
შპს სუხო	406137121	26,493	26,493	მიღებული სესხი
შპს გეზ მოტორს გრუპ	404990042	86,807	86,807	სავაჭრო ვალდებულება; გაცემული სესხის პროცენტი

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება 2024 წლისთვის შეადგენს 1.436.313 ლარს. (2023: 1.788.813 ლარი)

16 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.

17 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 25 სექტემბერს.

სს „გეზ მოტორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ზოგადი ინფორმაცია

სს "გეზ მოტორსი" (206264512) (შემდგომში „კომპანია“) არის 2006 წლის 16 ნოემბერს საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, იურიდიული მისამართით: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკ., №33ა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავებისა და საპოხ-საზეთი ლუბრიკანტის მიწოდება და თანმდევი მომსახურების გაწევა.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქცონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

მარინე დალოევი - 10%

ზურაბ მელქაძე - 37%

ედუარდ მიქაძე - 33%

ნანა ნოზაძე - 20%

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 38 (2023 - 32).

„კომპანია“ 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი საწარმოების (ერთად „ჯგუფი“) მშობელი კომპანიაა:

შვილობილი კომპანია	საქმიანობა	წილი	
		31-12-24	31-12-23
შპს პიტ-სტოპ	მშენებლობა	100%	100%
შპს მეგა ავტო	არააქტიური	100%	100%
შპს სვანეთ ორცდამეერთე	არააქტიური	50%	50%

შპს პიტ-სტოპ შეძენილია და კონტროლი მოპოვებულია მშობელი კომპანიის მიერ 2008 წლის 2 მაისს 147.000 ლარად.

ჯგუფი არ მოელის შპს მეგა ავტოსაგან და შპს სვანეთი ოცდამეერთესაგან მომავალი ფულადი ნაკადების ან/და სხვა დამატებითი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, შესაბამისად, ინვესტიციები აღნიშნულ საწარმოებში გაუფასურებულია სრულად 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად 70.000 და 123.746 ლარის ოდენობით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შვილობილ კომპანიას (შპს პიტ-სტოპ) აქვს განხორციელებული შემდეგი ინვესტიციები:

შპს პრიმა სერვისი - 400002484 - 100% წილი - 0 ლარი (2023: 0 ლარი)

შპს სკაიპაუსი - 405357607 - 60% წილი - 0 ლარი (2023: 2,204,039 ლარი) (საქმიანობა: მშენებლობა)

შპს სქაი ჰაუსი ვარკეთილი (ყოფილი შპს "აუტო-დოკა") - 206027262 - 100% წილი - 4,200,471 ლარი (2023: 4,200,470 ლარი) (საქმიანობა: მშენებლობა)

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის (შპს პიტ-სტოპი და მისი შვილობილები) დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 10 (2023 - 27).

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

განვითარების გეგმები

დღეს GEZ MOTORS გთავაზობთ საავტომობილო, მოტოციკლების, მძიმე მანქანების, სამრეწველო და საზღვაო საპოხი მასალების სრულ ასორტიმენტს, მანქანის მოვლის საშუალებებს და საწვავის და ზეთის დანამატების ფართო სპექტრს. საქართველოს საავტომობილო საპოხი მასალების ბიზნეს სექტორში, ჩვენ ერთ-ერთი ლიდერი ვართ. უფრო მეტიც, GEZ MOTORS ადგილობრივ ბაზარზე, სატვირთო და ავტობუსის საბურავების სეგმენტში მნიშვნელოვანი აქტორია. ჩვენ მუდმივად ვზრდით PCR-ის, SUV-ისა და LT-ის ბრენდების და პროდუქციის ასორტიმენტს, ვინაიდან მიზნად ვისახავთ, რომ პროდუქციის ამ ჯგუფში, 2024 წლის ბოლომდე, ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი ვიყოთ. სამუხრუჭე სისტემებისა და სათადარიგო ნაწილების გარდა, ჩვენ ავტომობილების ფილტრების სრულ ასორტიმენტს გთავაზობთ.

ჩვენ გვჯერა, რომ ბაზრის გაყიდვების სეგმენტაცია არის მნიშვნელოვანი პროცესი, გაყიდვების წარმატებული არხების და ცალკეული მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად, რათა მიესადაგოს მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიას, განსხვავებული საჭიროებებით, ინტერესებით, ბიუჯეტით, ან სხვა ატრიბუტებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ გამოვყავით ბაზრის სამი ძირითადი სეგმენტი და წარმატებით ვახორციელებთ გაყიდვებს საბითუმო, კორპორატიულ და საცალო გაყიდვების სეგმენტებში.

ჩვენ კორპორატიულ და საცალო მომხმარებლებს, პროდუქციის სრულ ასორტიმენტს და პროდუქტებთან დაკავშირებულ მომსახურებას ვთავაზობთ სამგზავრო ავტომობილებისთვის, სპორტული მანქანებისთვის და მსუბუქი კომერციული მანქანებისთვის. კომპანია GEZ MOTORS-ის თბილისის შოურუმებსა და ავტომომსახურების ფილიალებში, 35 000-მდე საცალო და 400 კორპორატიულ მომხმარებელს ემსახურება. საქართველოს მასშტაბით, ჩვენ 500-მდე საბითუმო სავაჭრო პარტნიორი გვყავს.

ინფორმაციას ჯგუფის ფილიალების შესახებ

დედა კომპანიას აქვს 2 ფილიალი, რომელთაგან ერთი მდებარეობს კახეთის გზატკეცილის N15-ში, ხოლო მეორე დავით ღმაშენებლის ხეივანის #183ა-ში.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფს შემუშავებული აქვს ინსტრუქციები და შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც ემსახურება ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას, შემცირებასა და კონტროლს. დანაშაულის და თაღლითობის პრევენციის მიზნით საბანკო ანგარიშებზე წვდომა შეზღუდულია და ნებადართულია მხოლოდ შესაბამისი უფლებამოსილი პირებისთვის.

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2024 წლის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	16.887.615	10.971.654
არამატერიალური აქტივები	4	8.977	5.724
გუდვილი	5	1.614.362	1.614.362
სულ გრძელვადიანი აქტივები		18.510.954	12.591.740
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1.105.867	4.432.018
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	2.040.929	5.766.304
მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	10.384.738	14.390.343
საგადასახადო აქტივები	11	996.160	1.139.637
სულ მიმდინარე აქტივები		14.527.694	25.728.302
სულ აქტივები		33.038.648	38.320.042
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		952.861	952.861
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		11.895.047	7.842.961
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(865.165)	(865.165)
არამაკონტროლებელი წილი		169.942	961.106
სულ კაპიტალი		12.152.685	8.891.763
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	6.358.684	616.101
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6.358.684	616.101
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	9.225.811	20.149.895
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	5.195.582	8.510.081
გადასახდელი პროცენტი	9	105.885	152.203
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14.527.279	28.812.178
სულ ვალდებულებები		20.885.963	29.428.279
სულ კაპიტალი & ვალდებულებები		33.038.648	38.320.042

სს „გეზ მუტორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2024 წლის ჯგუფის მოგება-ზარალის ანგარიშგება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	34.138.133	14.931.725
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	13	(22.658.750)	(8.853.140)
საერთო მოგება		11.479.383	6.078.585
დასაქმებულთა ანაზღაურება		(3.490.179)	(3.172.759)
საპროცენტო ხარჯი		(1.544.613)	(894.936)
იჯარის ხარჯი		(290.107)	(293.658)
მიწოდების ხარჯები		(158.054)	(98.839)
ცვეთა და ამორტიზაცია	3 / 4	(112.869)	(115.815)
საპროცენტო შემოსავალი		14.488	36.172
გუდვილის გაუფასურების / ამორტიზაციის ხარჯი		-	(2.772.317)
სხვა შემოსავლები		700.608	1.973.915
სხვა ხარჯები		(563.432)	(327.859)
საოპერაციო მოგება		6.035.225	412.489
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14	(684.782)	(91.491)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		5.350.443	320.998
მოგების გადასახადი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		5.350.443	320.998
არამაკონტროლებელი წილი		1.298.357	(309.437)
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განაწილება მშობელი კომპანიის მფლობელებზე		4.052.086	630.435

სს „გეზ მტორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ჯგუფის მენეჯმენტის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ლიკვიდურობის სალდოები არის ბიზნესის საოპერაციო საქმიანობისთვის დამახასიათებელი, შესაბამისად, არ მოელის ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ეხება მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა ჯგუფის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა ჯგუფის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. რისკი გაანგარიშებულია ჯგუფის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ჯგუფს არ აქვს ცვლად განაკვეთიანი სესხები, შესაბამისად, არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს.

სს „გეზ მატორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საოპერაციო რისკი

ჯგუფს გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე

დირექტორი

ეკატერინე თევზაძე

მთავარი ბუღალტერი

სს „გეზ მატორსი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საოპერაციო რისკი

ჯგუფს გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს.

ზურაბ მელქაძე
დირექტორი



ეკატერინე თევზაძე
მთავარი ბუღალტერი



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.